საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

9 აპრილი პარასკევი 1971

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 82 (14992)

მოსკოვი. სკკპ XXIV ყრილობა. სურათზე: ყრილობის პრეზიდიუმში.

ფოტო ვ. შბორეშვილისა (საკადრის ფოტოქრონიკა).

საინფორმაციო ცნობა

8 აპრილს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობას განაგრძობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა.

ყრილობა განიხილავს მოხსენებას—სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმნენ საზღვარგარეთის კომუნისტური პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები ლუის კარლოს პრესტესი — ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჯონ მარშალი — სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე, რომლებსაც დელეგატები და სტუმრები მხურვალედ შეხვდნენ.

კამათში მოხსენების გამო — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — გამოვიდა ამხ. ა. ნ. რუდნევი — სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა ministრი.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი მოხსენების გამო — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

დელეგატებმა ერთსულოვნად მიიღეს სკკპ XXIV ყრილობის მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“ და სკკპ XXIV ყრილობის განცხადება „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის“.

შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის მომდევნო პუნქტზე — პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

• • •

ქალაქ მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ XXIV ყრილობას მიესალმნენ კომუნისტური და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლები: ამხანაგები შან შერარი — ჰაიტის კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, მოჰამედ იუსუფ ელმი — სომალის უმაღლესი რევოლუციური საბჭოს წევრი, აბდელ ფათაჰ ისმაილი — იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის პარტიის გენერალური მდივანი, მუჰამედ მაჰმუდ აბდელ რაჰმანი — ჟურნალისტების (ერაყი) დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი.

ამხანაგ ა. ნ. კოსიგინის საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დელეგატებო!

ჩვენმა ყრილობამ დაამთავრა მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დირექტივების პროექტის განხილვა. განხილვის შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ჩვენი პარტია ყრილობაზე დელეგირებულ თავის წარმომადგენელთა სახით ერთსულოვნად იწონებს ჩვენს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ამ დიდებულ, მეცნიერულად დასაბუთებულ პროგრამას. **(ხანგრძლივი ტაში).**

დელეგატთა გამოსვლებმა განაგრძეს, შეაჯამეს და დაამთავრეს ჩვენი პარტიის ამ თვალსაჩინო საპროგრამო დოკუმენტის საყოველთაო-სახალხო განხილვა, რომელიც წინ უძღოდა ყრილობას. ამ გამოსვლების ძირითადი ნიშნებია ბოლშევიკური პრინციპულობა და საქმიანობა, კომპეტენტურობა და სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების განვითარების პერსპექტივების ღრმა გაგება, რბტიმალურ გადაწყვეტათა შემოქმედებითი ძიება და გამარჯვებისადმი მგზნებარე სწრაფვა. **(ტაში).**

ჩვენმა ყრილობამ ნათლად დაადასტურა პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ჩვენი პარტიის ინტერნაციონალური სოლიდარობა სოციალიზმის ყველა ქვეყანასთან, მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან, რომლებმაც ჩვენი პროგრამა აღიქვეს როგორც საიმედო საწინდარი საბჭოთა კავშირის მზარდი წვლილისა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ჩვენს საერთო საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ყრილობის მიერ შექმნილმა კომისიამ განიხილა დირექტივების პროექტის გამო შემოსული შესწორებანი და დამატებანი. კომისია რჩევას იძლევა ამ დამატებათა და შესწორებათა ნაწილი შევიტანოთ დირექტივებში. დირექტივების ტექსტი, რომელშიც შეტანილია ცვლილებანი, თქვენ დაგირიგდათ.

კომისია რჩევას იძლევა ყველა სხვა წინადადება განსახილველად გადაეცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს, რათა ისინი გულდასმით იქნას შესწავლილი და გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს.

ხუთწლიანი გეგმის შედგენისას ვიხელმძღვანელებთ ძირითადი იდეებით, რომლებიც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, და ფართოდ გამოვიყენებთ წინადადებებს, რომლებსაც შეიცავენ ყრილობის დელეგატების გამოსვლები.

პარტიული ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივები საფუძვლად დაედება მეცხრე ხუთწლიან გეგმას. ხუთწლიანი გეგმის შემუშავების დროს, უეჭველია, გამოვავლენთ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ახალ რეზერვებს, თავს მოვუყრით დამატებით რესურსებს ხალხის მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

გეგმის შედგენა, ხუთწლედის დავალებათა განსაზღვრა წლების, წარმოების დარგების, ეკონომიური რაიონებისა და საწარმოების მიხედვით უნდა დავამთავროთ მიმდინარე წლის 1 აგვისტოსათვის, რის შემდეგაც მას განვიხილავთ მთავრობაში, გადავცემთ განსახილველად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას.

ამრიგად, სოციალისტური დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად ახალი ხუთწლიანი გეგმა იქნება ხალხის ერთიანი ნების გამოხატულება, პარტიისა და ხალხის კოლექტიური გონების, მათი შემოქმედებითი შემართებისა და მომავლისადმი კეთილშობილური მისწრაფების განსახიერება. **(ხანგრძლივი ტაში).**

სკკპ XXIV ყრილობამ ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა ჩვენი პარტიის ისტორიაში, მარქს-ენგელს-ლენინის დიადი ყოველისმძლე მოძღვრების განვითარებაში. თვითეული ჩვენგანი, პარტიული ყრილობის მონაწილე, დიდად მოხარულია, რომ ჩაბმულია სოციალური პროგრესის დაგეგმვის დიად საქმეში, რომლის სიკეთე ყველა სოციალისტურ მშრომელთა კუთვნილება იქნება. **(ტაში).**

ჩვენი პარტიის ყრილობები ეპოქალური მოვლენებია ჩვენი ხალხისა და მთელი მსოფლიოს კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში. ჩვენი პარტიის ყოველ ყრილობას მადლიერებით იხსენიებს ხალხი.

ჩვენი ყრილობები, გიგანტური ისტორიული მოხუმენტების მსგავსად, სახავენ კაპიტალისტური წარსულიდან სოციალისტურ აწმყოში გადმოსვლის დიად გზას. ჩვენი ყრილობები მარად მბრწყინავი ვარსკვლავებივით გვიჩვენებენ მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლის სწორ გზას. **(ხანგრძლივი ტაში).**

დაე ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მსოფლიოს მშვიდობისათვის, კომუნისტური მომავლისათვის ბრძოლაში მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ჯილდოების გადაცემა კრემლში

8 აპრილს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ორდენები და მედლები გადაეცა სკკპ XXIV ყრილობის დელეგატებს დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოვდნენ თვალსაჩინო წარმატებებისათვის შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირის, გაზისა და მსუბუქი მრეწველობის, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საავტომობილო მრეწველობის, სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ვაშაკიძეს ბორის ილიას-ძეს — ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალს.

გოგუხოთელიანს ლევან ვარლამის-ძეს — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველს.

ნანიტაშვილს გრიგოლ ლევანტის-ძეს — ზესტაფონის ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის უფროს მდნობელს.

ტყებუჩავას ლეონტი ტონტოს-ძეს — საქართველოს ქვანახშირის კომბინატის № 2 შახტის სამთო გვირაბების გამყვანს.

ჭეხაშვილს გურგენ იაკობის-ძეს — თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისნის“ ფეხსაცმლის გადამჭიმავს.

ალიევას გულსანამ აჰმედ ყზის — გარდაბნის რაიონის გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავს.

არძინბას მარიამ კუკუნის ასულს — გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ კოლმეურნეს.

გზიშვილს რევაზ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანს.

თუთარაშვილს გივი მიხეილის-ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.

კერესელიძეს შალვა იასონის-ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევ-საკონსტრუქტორო ლაბორატორიის უფროსს.

კობაიძეს არსენ ალექსის-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

კოსენკოს ლიდია ივანეს ასულს — მახარაძის რაიონის ლაითურის ს. მ. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მუშას.

კუბალიას ალექსანდრე ადამურის-ძეს — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარეს.

ნასყიდაშვილს ილია გიორგის-ძეს — ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.

პაპოიანს ეფინა აშოტის ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მწველავს.

სარაჯვილაძეს ნიკიფორე ივანეს-ძეს — ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

სიმონიანას გივი რაჟდენის-ძეს — „კოლხიდმშენის“ ტრესტის № 4 მექანიზაციის სპეციალიზებული სამმართველოს ბულდოზერის მემანქანეს.

ქარდავას ცაცა ანტონის ასულს — ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭოჩარის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კოლმეურნეს.

ღვედაშვილს მიხეილ გიორგის-ძეს — სიღნაღის რაიონის სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირს.

ღონღლაძეს მარგალიტა ილიას ასულს — ხაშურის რაიონის სოფელ სატივის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.

ფითლიძეს გივი აკაკის-ძეს — მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ჭანიძეს გუგული იუსუფის ასულს — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის კოლმეურნეს.

მოგილოცავთ მაღალ ჯილდოს, მეგობრებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებაში თვალსაჩინო წარმატებებისათვის, მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ და ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ჩაქუ“ გადაეცათ შავი და ფერადი მეტალურგიის, ნავთობის, ქვანახშირის, გაზისა და მსუბუქი მრეწველობის, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, საავტომობილო მრეწველობის, სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებსა და სპეციალისტებს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ და ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ჩაქუ“ გადაეცათ საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეებს:

ალიევას გულსანამ აჰმედ ყზის — გარდაბნის რაიონის გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მწველავს.

არძინბას მარიამ კუკუნის ასულს — გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ კოლმეურნეს.

გზიშვილს რევაზ ალექსანდრეს-ძეს — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველ მდივანს.

თუთარაშვილს გივი მიხეილის-ძეს — ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს.

კერესელიძეს შალვა იასონის-ძეს — საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაის მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საპრობლემო სამეცნიერო-საკვლევ-საკონსტრუქტორო ლაბორატორიის უფროსს.

კობაიძეს არსენ ალექსის-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

ლიდია ივანეს ასულს — მახარაძის რაიონის ლაითურის ს. მ. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის მუშას.

კუბალიას ალექსანდრე ადამურის-ძეს — ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარეს.

ნასყიდაშვილს ილია გიორგის-ძეს — ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას.

პაპოიანს ეფინა აშოტის ასულს — ახალქალაქის რაიონის სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მწველავს.

სარაჯვილაძეს ნიკიფორე ივანეს-ძეს — ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

სოციალისტური შრომის გმირები, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები

სკკპ XXIV ყრილობის დელეგატთა ჯგუფი საქართველოდან, რომლებსაც მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება (მარცხნიდან): მ. არძინბა — გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „დურიფშის“ კოლმეურნე, ბ. ვაშაკიძე — ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ზეინკალი, რ. გზიშვილი — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი, ბ. ჭანიძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ერგეს კოლმეურნეობის წევრი, ლ. გოგუხოთელიანი — ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი. (სურათი გადაღებულია ჯილდოების გადაცემის შემდეგ).

ფოტო ვლ. გინზბურგისა („კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

(გაგრძელება)

ახალი ხუთწლიანი გეგმის პროექტით ქარხანამ უნდა გადიდოს ავტომობილების გამოშვება. ავტოქარხნელები ახლა ამუშავებენ წინადადებებს, რომ ქარხნის საწარმეტო სიმძლავრე გაზარდონ კიდევ 50 ათასი ავტომობილით.

მოსკოვის ი. ა. ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კომუნისტები აღუთქვამენ ყრილობას, რომ მთელ თავიანთ ძალღონესა და ენერგიას მოახმარენ პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

სკკპ XXIV ყრილობა, თქვა რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ბ. მ. მეჩერსუმოვმა, განსაკუთრებულ აღგილს დაიკავებს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში. პარტიის გენერალურმა ხაზმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვა როგორც საშინაო პოლიტიკის დარგში, ისე საერთაშორისო საქმეებშიც. ეს არის ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს საქმიანობის მთავარი პოლიტიკური შედეგი საანგარიშო პერიოდში. და საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ და მხარს უჭერენ პარტიის გენერალურ ხაზსა და ცენტრალური კომიტეტის პრაქტიკულ საქმიანობას.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საერთო საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის მშრომელებმაც, განაგრძო ორატორმა. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების ძირითადი დავალებანი დადამდე შეასრულა ყველა ოლქმა, მხარემ და ავტონომიურმა რესპუბლიკამ, მათი შრომითი გმირობა თავგრობის მაღალი ჯილდოებით აღინიშნა.

საწარმოო ძალების შემდგომი მძლავრი აღმავლობის შთამბეჭდავი პერსპექტივები ისახება ახალ ხუთწლედში. მოსკოველთა და ლენინგრადელთა თანსწორით ფართოდ გაშალა რა სოციალისტური შეჯიბრება ახალი ხუთწლეულის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რუსეთის ფედერაციისა მოახსენებს ყრილობას, განაცხადა ამხ. კ. ბ. გერასიმოვმა, რომ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა, პირუტყვისა და ფრინველის, რძისა და კვერცხის ზეგეგმით შესყიდვის გეგმა და დავალებანი ადამდე შესრულდა.

1971-1975 წლებში რესპუბლიკაში განხორციელდება პარტიის მიერ აღებული კურსი — სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ინტენსიფიკაციის, პრაქტიკაში მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის ფართოდ დანერგვის კურსი. სამრეწველო პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 44-47 პროცენტით, ამასთან საზოგადოებრივი წარმოების მატების დაახლოებით 90 პროცენტს უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდა. დაჩქარებით განვითარდება ენერგეტიკა, მანქანათა და ხელსაწყოთმშენებლობა, გაზის, ქიმიური და ნავთობის მრეწველობა, კიდევ უფრო განვითარდება შავი და ფერადი მეტალურგია.

დიდმნიშვნელოვანი ამოცანები უნდა განვახორციელოთ საწარმოო ძალების განლაგების შემდგომი გაუმჯობესების დარგში. დასავლეთ ციმბირში შეიქმნება ნავთობისა და გაზის მრეწველობის ჩვენს ქვეყანაში უდიდესი ბაზა. დაჩქარებული ტემპებით უნდა განვავითაროთ სხვა აღმოსავლეთ რაიონები და შორეული აღმოსავლეთი, სადაც ფართო მასშტაბებით გაიშლება მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ხე-ტყის დამამუშავებელი, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობისა და ენერგეტიკის სხვა დარგების საწარმოთა მშენებლობა.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელდება სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის დიდი ღონისძიებანი. მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი გაიზრდება დაახლოებით 1,7-ჯერ.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ რესპუბლიკის არაშავნიდაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის განვითარებას, თქვა შემდეგ ორატორმა, ამ ზონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების უდიდესი რეზერვები აქვთ.

რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე შეეხო აგრეთვე ეკონომიური რეფორმის შემდგომი სრულყოფის, მიწისადმი მზრუნველი დამოკიდებულებისა და მისი დაცვის საკითხებს. დასასრულ მან თქვა, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები ღონისძიებენ ცენტრალური კომიტეტის ბლოკნოტი შემავალ სხვა ძალებთან ერთად გასული წლის 4 სექტემბრის მოიპოვეს გამარჯვება, როცა ჩილეს პრეზიდენტად აირჩიეს საალვადორ ალიენდე.

ჩვენი აზრით, თქვა ორატორმა, მოცემულ სტორიულ ვითარებაში მოვალენი ვართ მოვიქცეთ ბრძნულად, ამასთან მივაღწიოთ ხალხის მხარდაჭერის გაფართოებას, გამოვიჩინოთ რევოლუციური გამბედაობა და გამძლეობა. გვწამს, რომ ჩვენი ძალები გაიზრდება, და დიდი სიხარულით გაცნობებთ, რომ ჩილელმა ხალხმა გასულ კვირას საყოველთაო მუნიციპალურ არჩევნებში მხარი დაუჭირა სახალხო ერთიანობის მთავრობას ხმის აბსოლუტური უმრავლესობით. ბედნიერი ჯარი, რომ სოციალისტურმა პარტიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სახალხო ერთიანობის გამარჯვებაში.

ჩვენს ქვეყანაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენები მიმდინარეობს. მათ შორის მთავარია ძირითად სიმდიდრეთა ნაციონალიზაცია, მსხვილი სამრეწველო მონოპოლიების ექსპროპრიაცია და მათი სახელმწიფო კონტროლისათვის დაქვემდებარება, კერძო ბანკების ნაციონალიზაცია და მათი სახელმწიფო კონტროლისათვის დაქვემდებარება, აგრარული რეფორმის გაღრმავება, დამოუკიდებელი სუვერენული პოლიტიკის განხორციელება მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობის განვითარებისათვის. ჩვენდა ჯაფნობოთ: გუშინ დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა ჩილესა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის. ეს ჩვენი დამოუკიდებელი პოლიტიკის კიდევ ერთი დადასტურებაა.

დასასრულ ამხ. ერნან დელ კანტომ გულითადი მადლობა გადაიხადა ჩილელ ხალხთან სოლიდარობისათვის.

იაპონიის კომუნისტთა სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ტომიო ნისიძავა — იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მუდმივი მიწვეული წევრი, რომელსაც დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

სკკპ XXIV ყრილობა, თქვა მან, მიმდინარეობს ისეთ ვითარებაში, როცა კაპიტალისტური სამყაროს, მათ შორის იაპონიის მშრომელთა მასები იჩენენ ახალ ინტერესს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის შემდგომი განვითარებისადმი, ყურადღებით ადევნებენ თვალს ამ პროცესებს.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირის სულ უფრო მზარდი განმტკიცების პერიოდში იაპონიის კომპარტია ადგას ორი მტრის — ამერიკის იმპერიალიზმისა და იაპონიის მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ძირითად კურსს და ამოიკანად ისახავს გააუქმოს იაპონია-ამერიკის უშიშროების ხელშეკრულება, მიაღწიოს ოკინავის მთლიანად და უპირობოდ დაბრუნებას, არ დაუშვას მილიტარიზმის ყოველმხრივი აღორძინება.

იაპონიის კომპარტია იბრძვის დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, დემოკრატიული კოალიციური მთავრობის შექმნისათვის, ძალღონეს არ იშურებს ხალხთა ბრძოლის განვითარებისა და მთელი დემოკრატიული ძალების მძლავრი ერთიანი ფრონტის შექმნისათვის. ამხ. ტ. ნისიძავამ აღნიშნა, რომ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების არჩევნების ახლადდელ კამპანიაში შეიქმნა დემოკრატიული ძალების ფართო ერთიანი ფრონტი კომუნისტური პარტიისა და სოციალისტური პარტიის მონაწილეობით.

ამას წინათ, თქვა ამხ. ტ. ნისიძავამ, გაიმართა იაპონიის კომპარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციათა მოლაპარაკება. ორივე მხარემ არა მარტო დაადასტურა 1968 წელს ტოკიოსა და მოსკოვში გამართულ მოლაპარაკებაზე მიღწეული შეთანხმება, არამედ კიდევაც განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი ორი პარტიის ურთიერთობის ნორმალიზაციის ხელისშემშლელ დაბრკოლებათა აღმოფხვრისათვის, გამოთქვა მზადყოფნა ამ შეთანხმების განხორციელება შეესაბამება იაპონელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის მეგობრობის განვითარების ინტერესებს.

გამოდის გვინეისა და მწვანე კონგოს კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ამილკარ კაბრალი, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ჩვენთვის დიდად საპატიოა, თქვა მან, ვიყოთ აქ თქვენთან ერთად და გვქონდეს სამუალება ჩვენი პარტიის საბრძოლო სალამი და ძმური სურვილები გადავცეთ XXIV ყრილობის დელეგატებს, რომლებიც წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის 14 მილიონ კომუნისტს, — პორტუგალიის კოლონიალიზმისა და იმპერიალისტური ბატონობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენი ხალხის ერთგულ მოკავშირეებს.

ვიბრძვით რა უცხოთის ბატონობის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის, განაგრძო ორატორმა, აქ მარტო ჩვენი პარტიის წარმომადგენლები როდი ვართ. ჩვენ გვინეისა და მწვანე კონგოს კუნძულების, აფრიკაში პორტუგალიის ყველაზე ძველი კოლონიების აფრიკელი ხალხის კანონიერი წარმომადგენლები ვართ, ხალხისა, რომელიც პორტუგალიის ფაშისტ კოლონიზატორთა დანაშაულებრივი ძალმომრეობის პირობებში იძულებული გახდა იარაღი აეყრა, რათა მიაღწიოს განთავისუფლებას.

რვა წლის ბრძოლის მანძილზე შევძელით არა მარტო გაგვეთავისუფლებინა ჩვენი ეროვნული ტერიტორიის ორ მესამედზე მეტი, არამედ განთავისუფლებულ რაიონებში ახალი ცხოვრების მშენებლობაც დაგვეწყო. ამას ვაკეთებთ პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში, მიუხედავად ენერგიდისა, დანაშაულებრივი კოლონიური ომისა, რომელსაც პორტუგალიის მთავრობა ეწევა ჩვენი ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენი გამარჯვების რწმენა, განაცხადა ამხ. ა. კაბრალმა, მით უფრო დიდია, რომ თქვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც მისმა გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, ერთხელ კიდევ დაადასტურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილება კვლავაც გაუწიოს მორალური, პოლიტიკური და მატერიალური დახმარება განმათავისუფლებელ მოძრაობებს. ჩვენთვის ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც წინათ, მტკიცედ იდგება ჩვენი ხალხის გვერდით.

დასასრულ ამხ. ა. კაბრალმა გამარჯვება უსურვა გვინეის ხალხებსა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობასა და სოლიდარობას.

სსრ კავშირის მუშაკი მრეწველობის მინისტრმა ამხ. ნ. ნ. ტარასოვმა თავის სიტყვაში თქვა: მუშაკი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობით შეეგებენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას. განვლილ ხუთწლეულში პროდუქციის გამოშვება თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა. ამასთან საქონლის გამოშვების მთელი მატების 86 პროცენტი უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების გადიდებამ.

მუშაკები მრეწველობის მუშაკები დიდ მადლობას უძღვნიან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას ყოველდღიური დახმარებისა და ჩვენი დარგის განვითარებაზე ზრუნვისათვის.

მოხსენებაში — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების გრანდიოზული პროგრამა, განსაზღვრულია მთავარი ამოცანები და მითითებულია მათი გადაწყვეტის კონკრეტული გზები. ხუთწლედის ერთ-ერთი ცენტრალური ამოცანის შესასრულებლად — ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების უზრუნველსაყოფად — გათვალისწინებულია მსუბუქი მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპი.

დირექტივების პროექტით მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის გამოშვება დასახულია გადიდდეს 1,35-1,4-ჯერ. ამასთან პროდუქციის მატების 95 პროცენტს უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდა. ქსოვილების წარმოება 1975 წელს გადიდდება 19-24 პროცენტით 1970 წელთან შედარებით, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — თითქმის 50 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 18-23 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა — 38 პროცენტით.

მომდინარე ხუთწლედში დიდად განვითარდება ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობა. მარტო 1970 წელს ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭლის გამოშვების საწარმოო სიმძლავრენი 70 მილიონი ცალით გაიზარდა, მომდინარე წელს კი კიდევ 88 მილიონი ცალით გაიზრდება. ხუთწლეულის დამლევისათვის ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭლის წარმოების მოცულობა თითქმის 1.200 მილიონ ცალამდე გადიდდება, ესე იგი არსებითად 5 წელიწადში ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობის სიმძლავრენი ნერთიორად გაიზრდება.

მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილება მასობრივი მოთხოვნილების საქონელზე. მეტწილ საქონელზე მოთხოვნილება დაკმაყოფილდება უახლოეს 2-3 წელიწადში.

მეცხრე ხუთწლედში დიდი ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს ნაწარმის სისტემატური განახლებისა და ასორტიმენტის გაფართოებისათვის, სარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისა და ახალი საქონლის წარმოების გადიდებისათვის.

შემდეგ ამხ. ნ. ნ. ტარასოვი დაწვრილებით შეეხო მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ეხლანდელი ტექნიკური აღჭურვის საკითხებს. მომდინარე ხუთწლედში მივიღებთ ორჯერ მეტ ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ვიდრე წინა ხუთწლედში, თქვა მან. გათვალისწინებულია 500-ზე მეტი საწარმოს აშენება და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

მინისტრმა ილაპარაკა, თუ როგორ მიმდინარეობს ყრილობის ალსანიშნავი სრულიად საკავშირო შეჯიბრება ბრიგადებისა წარმოების ეფექტიანობის გადიდებისათვის, რომელიც გაჩაღდა ივანოვოს ოლქის ქალაქ ფურმანოვის ოსტატის მოწინავე თანაშემწის, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატის ვ. ა. სმირნოვის ინიციატივით.

ნება მიბოძეთ, თქვა დასასრულ ამხ. ნ. ნ. ტარასოვმა, მსუბუქი მრეწველობის ყველა მშრომელის სახელით პირობა მივცე ყრილობის დელეგატებს, ჩვენს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით განახორციელონ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული აღმშენებლობითი გეგმები.

საბჭოთა გლეხობამ უდიდესი შთაგონებით აღიქვა პარტიის გეგმები, თქვა ყრილობის ბიუროს წევრმა ამხ. ფ. ა. ალიევმა. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ბატონ-ყმობიდან ოლქის სახელმწიფო ჯიშთსაწანარეს „კომუნარას“ დირექტორმა ამხ. ა. ნ. მოსაზოვამ. საბჭოთა მეურნეობა „კომუნარკა“ მოსკოვის ოლქის ერთ-ერთი უძველესი მეურნეობაა. იგი დასპეციალიზებულია რძის წარმოებაზე, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის მოზარდეულის მოშენებაზე, ბოსტნეულის მოყვანაზე, მეფრინველეობაზე. მეურნეობაში [illegible] ხი ათას სულზე მეტი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვია. ეს ჰექტარ [illegible] სოფლო-სამეურნეო სავარგულზე [illegible] წარმოებთ 1.445 ცენტნერ რძეს. 1.720 შავგრეული ჯიშის ძროხიდან შარშან თვითეულზე მივიღეთ 4 პროცენტი ცხიმიანობის მკონე 4.530 კილოგრამი რძე. მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა მეურნეობაში ხუთწლეულის მანძილზე გაიზარდა 12,4 ცენტნერით და ჰექტარზე შეადგინა 33,2 ცენტნერი.

უკვე მრავალი წელია საბჭოთა მეურნეობა არა მარტო მთლიანად აკმაყოფილებს საზოგადოებრივ მეცხოველეობას საკუთარი საკვებით, არამედ აქვს თავისა და სიღოსის გარდამავალი ფონდიც, რაც საშუალებას გვაძლევს წლითიწლობით გავადიდოთ ჯიგის პროდუქტიულობა. მეურნეობის ყველა დარგი რენტაბელურია. მეურნეობის მთავარი დარგის — სარძევე მეცხოველეობის რენტაბელობა შეადგენს 61 პროცენტს.

ჩვენ მუდამ ვგრძნობთ პარტიის ზრუნვასა და მხარდაჭერას, ხაზი გაუსვა ამხ. ა. ნ. მოსაზოვამ. ეს ზრუნვა იწვევს სურვილს ვიშრომოთ უფრო უკეთ, მეტი ენერგიითა და ძალით. დიდ სიამაყეს ვგრძნობთ იმ უდიდესი მუშაობისათვის, რომელიც პარტიამ შეასრულა სოფლის გარდაქმნისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობისათვის, საბჭოთა მიწათმოქმედის მატერიალური და სულიერი დონის ამაღლებისათვის. ნათლად ვგრძნობ ჩვენ მთავარ ამოცანას, ეს ნიშნავს ეკონომიკის ინტენსიფიკაციას, ეს ნიშნავს ეფექტიანობას, ეს ნიშნავს ეფექტიანობას, ეს ნიშნავს ეფექტიანობ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

(გაგრძელება)

ყოველთვის და ყველაფერში ერთგული იქნებიან ლენინის დროშისა, მთელ თავიანთ ძალღონეს, შემოქმედებით ენერგიას მოახმარენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

თავისი ქვეყნის კომუნისტების სახელით საბრძოლო სალამი გადასცა ყრილობის მონაწილეებს ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხ. მარკ დრიუშმ, რომელსაც დელეგატები მხურვალედ შეხვდნენ. ჩვენ ყურადღებით გადავეხვიეთ თვალს, თქვა მან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის მუშაობას, რომელიც უდიდეს ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. თქვენი ყრილობა დიდ გავლენას ახდენს და გვლავაც მოახდენს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, პროგრესისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მსვლელობაზე.

ის ადგილი, რომელიც მსოფლიოში გიკავიათ, თქვენი ძლიერება განსაკუთრებულ და გადამწყვეტ როლს გაკისრებთ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების ბრძოლაში, ხაზი გაუსვა ორატორმა. დიდად ვაფასებთ თქვენს საქმიანობას ამ მიმართულებით, რომელსაც ახორციელებთ საჭირო სიმტკიცითა და ჯეროვანი პოლიტიკური ეფექტიანობით.

ამხ. მარკ დრიუშმ განაცხადა, რომ ამას წინათ დამთავრდა ბელგიის კომუნისტური პარტიის ყრილობა, რომელმაც ცხადყო ღრმა სოლიდარობა ყველა სოციალისტური ქვეყნის კომუნისტებთან და განსაკუთრებით სახელოვანი და მძლავრი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კომუნისტებთან.

მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა კვლავ ჩვენი პარტიის პოლიტიკის უპირველესი ამოცანაა, თქვა ორატორმა. ჩვენი აზრით, ეს ბრძოლა განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტთა მოგალეოობასთან მხარი დაუჭირონ ერთგულია და სოციალური განთავისუფლების მოძრაობებს, რომლებიც მრავლდება მსოფლიოში — ახლო აღმოსავლეთში, აზიაში, აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და რომლებიც იმპერიალიზმის აგრესიულ და სასტიკ წინააღმდეგობას აწყდებიან.

ამხ. მარკ დრიუშმ ილაპარაკა, თუ როგორ ძლიერდება კაპიტალიზმი ბრძოლა ბელგიაში. სიძვირის ზრდის წინააღმდეგ გამოსვლები დღის წესრიგშია მთელი ქვეყნის მასშტაბით, მიჭირს ჩამოთვალო ყველა გაფიცვა, რომლებიც უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მოეწყო. მშრომელები შეუპოვრად იბრძვიან ხელფასის მომატებისათვის, შრომის უფლებისათვის, შუამთა კონტროლისათვის. ქალაქის საშუალო ფენები და გლეხობა სულ უფრო გადაჭრით ილაშქრებენ ფასებისა და გადასახადების იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მსხვილი კაპიტალი და მთავრობა ახორციელებენ. ბრძოლაში ებმებიან ახალგაზრდობის ფართო ფენები.

დემოკრატიის ძალები იზრდება. დაე სკკპ XXIV ყრილობა, ასკვნის ბელგიის კომპარტიის თავმჯდომარე, გახდეს მძლავრი საყრდენი ამ ძალებისათვის წინსვლის გზაზე.

დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ლიბანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ნიკოლა შაუნს. იგი სკკპ XXIV ყრილობას მიესალმა ლიბანის კომუნისტური პარტიის სახელით.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმა და შინაარსიანი მოხსენება უდიდესი ყვალილია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში, ჩვენი ეპოქის ძირითადი რევოლუციური ძალების — მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების საქმეში, თქვა ორატორმა.

არაბული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც განუწყვეტელი იმპერიალისტური აგრესიისა და სიონისტური ოკუპაციის მსხვერპლნი გახდნენ, ღრმად აქვთ შეგნებული საბჭოთა დახმარებისა და საბჭოთა კავშირის მთელი პოლიტიკის ძირითადი, გადამწყვეტი როლი ისრაელის ოკუპაციისაგან არაბული ტერიტორიების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ეს ბრძოლა მტკიცდება და ვითარდება იმ მიმართულებით, რომელიც დასახა კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის მოსკოვის საერთაშორისო თათბირმა, რომელზეც გადაწყვეტილ მნიშვნელობა მიენიჭა კომუნისტური პარტიების ერთიანობასა და შეკავშირებას, აგრეთვე მათ შეკავშირებას მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის სხვადასხვა რაზმთან.

თქვენი ყრილობის მუშაობა და შედეგები, თქვა დასასრულ ორატორმა, ჩვენთვის, ლიბანელი კომუნისტებისათვის, უეჭველად გახდება ახალი სტიმული რომ მომავალში უფრო გაბედულად და ენერგიულად გიაროთ წინ იმ გზით, რომელიც დიდმა ლენინმა დასახა.

7 აპრილის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა განხილვა მოხსენებისა — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. სხდომის თავმჯდომარემ ამხ. პ. მ. მაშეროვმა სიტყვა მისცა სსრ კავშირის განათლების მინისტრს ამხ. მ. ა. პროკოფიევს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, თქვა მან, რომელიც პარტიის ნებით გეგმაზომიერად წარიმართება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად, დიდ მოთხოვნებს უყენებს კადრებს. წარმოუდგენელია კარგი პროფესიული მომზადება, თუ არ იქნება მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო დონე. აქედან გამომდინარეობს დიდი სოციალური მნიშვნელობის ამოცანა — მომავალ ხუთ წელიწადში დაგვამთავროთ გადასვლა ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლებაზე.

განათლების მინისტრმა დაახასიათა წარმატებანი, რომლებითაც საოლა შეეგება პარტიის XXIV ყრილობას. განვლილ ხუთწლიდში რეგიონიანი განათლება ჩვენში მიიღო 22 მილიონზე მეტმა მოზარდმა, სრული საშუალო — 16 მილიონზე მეტმა ქალაქისა და ქუთუმა. მეცხრე ხუთწლედის სტარტზე, ხაზგასმით აღნიშნა დელეგატმა, გამოვედით შემდეგი მაჩვენებლებით: მოზარდთა დაახლოებით 92 პროცენტი განაგრძობს სწავლას რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ამასთან დაახლოებით 80 პროცენტი სწავლობს ისეთ სასწავლებლებში, რომლებიც სრულ საშუალო განათლებას იძლევიან.

ამასთან, თქვა ამხ. პროკოფიევმა, საყოველთაო საშუალო განათლების დამთავრების შესახებ პარტიის დავალების განხორციელება დიდ შრომას მოგვთხოვს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სოფლის სკოლის შემდგომ სრულფასოვან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართოდ განვითარებას.

საბჭოთა სკოლაში სწავლისა და აღზრდის პროცესი, განაგრძო ორატორმა, ერთმანეთთან არის შერწყმული. საბჭოთა მასწავლებლები ეწევიან დიდ მუშაობას მოსწავლეთა იდეოლოგიური და პოლიტიკური აღზრდისათვის, ამზადებენ მათ იდეურად გამოწრთობილ მებრძოლებად, რომლებიც იქნებიან ლენინის საქმის ერთგულნი, მგზნებარე პატრიოტები და ინტერნაციონალისტები, მაღალი ზნეობრივი კულტურის, შრომისმოყვარე და ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები. ჩვენს სკოლაში მუშაობს 23-მილიონიანი პიონერთა ორგანიზაცია და ექვსმილიონიანი სასკოლო კომკავშირი. განათლების განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებანი შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანას ჰყავს მასწავლებელთა კვალიფიციური არმია, რომლის შემადგენლობაში შვიდასი ათასზე მეტი კომუნისტია.

ამხ. მ. ა. პროკოფიევმა მოიყვანა მაგალითები, თუ რამდენად შეხედულია მშრომელი ხალხის განათლების ამაღლების შესაძლებლობანი კაპიტალის ქვეყნებში. უკიდურესი შოვინიზმი და რასიზმი დამახასიათებელია ამერიკის სკოლისათვის, იუნესკოს მონაცემებით, მსოფლიოში მხოლოდ ყოველი მეოთხე იღებს ახლა დაწყებით განათლებას და ყოველი მეორემეტე — საშუალოს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ინგლისში, საფრანგეთში ახალგაზრდების მხოლოდ 20-25 პროცენტი, უპირატესად გბანტონებული კლასების წარმომადგენლები, იღებენ ზოგად განათლებას, რომელიც უფლებას აძლევთ უნივერსიტეტში ისწავლონ.

საბჭოთა ინტელიგენციის ყველაზე მრავალრიცხოვანი რაზმი, თქვა დასასრულ ამხ. მ. ა. პროკოფიევმა, განათლების მუშაკები დიდ მადლობას უხდიან პარტიის ცენტრალურ კომიტეტს იმისათვის, რომ ესოდენ დიდ ყურადღებას უთმობს მათს შუშაობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა თავის სიტყვაში თქვა, რომ დირექტივების პროექტის შემუშავებაში, რომელიც ორ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, აქტიურად მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკები, სამინისტროები და უწყებები, მსხვილი საწარმოები, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციები. ახალი ხუთწლიანი გეგმის დაპროექტების მომზადებისათვის მთელი შუშაობა სორციელდებოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის უშუალო ხელმძღვანელობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მთავრობაში ხუთწლედის ძირითადი პროექტის მონასაზღვრების სხვადასხვა გარიანტის მრავალგზისი და გულდასმითი განხილვის შედეგად გამოვლინდა საჭირო რეზერვები საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ფართო პროგრამის განხორციელებისათვის. გაწეულია უდიდესი შუშაობა საგეგმო დავალებათა ყოველმხრივ ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთებისათვის, მათი გულდასმითი შეთანხმებისათვის.

დირექტივების პროექტი, განაგრძო სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ, ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის განვითარების სწრაფი ტემპების შენარჩუნებას და დიდი ძვრების განხორციელებას საბჭოთა ეკონომიკის სტრუქტურაში. საზოგადოებრივი წარმოების პროპორციების შეცვლა, რაც მეცხრე ხუთწლედშია დასახული, მიზნად ისახავს, ჯერ ერთი, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის გამოყოფილი რესურსების გადიდებას და, მეორე, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაჩქარებულ განვითარებასა და სრულყოფას, ურომლისოდაც ვერ განხორციელდება მოხმარების საგნების წარმოების ზრდის სანგრძლივი პროგრამა.

ჩვენი პარტიის კურსი — მშრომელთა კეთილდღეობის არსებითი გაუმჯობესების კურსი, რომელიც სკკპ XXIII ყრილობამ მიიღო, თანმიდევრულად ხორციელდება. ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების მიღწეულმა მაღალმა დონემ წანამძღვრები შექმნა ამისათვის, რომ მრეწველობაში დამყარებულიყო ახალი ურთიერთობა წარმოების საშუალებათა წარმოებასა და მოხმარების საგნების წარმოებას შორის.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოხმარების საგნების წარმოების ზრდის სწრაფი ტემპები შესაძლებელია როგორც სოფლის მეურნეობის, მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარების გზით, ისე მძიმე ინდუსტრიის დარგებში სახალხო მოხმარების საგნების გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდების მეოხებით. სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების 44-48 პროცენტის საერთო ზრდის პირობებში მძიმე მრეწველობის დარგებში მათი წარმოება გადიდდება 80 პროცენტით და მეტად. მაგრამ, დასძინა ნ. კ. ბაიბაკოვმა, მძიმე მრეწველობის დარგებში ფართო მოხმარების საქონლის წარმოების დასახული მოცულობა მინიმალურად უნდა ჩაითვალოს.

ამგვარად, განაგრძო ორატორმა, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დირექტივების პროექტის გათვალისწინებით ადგენს გამლილ ხუთწლიან გეგმას. ამოცანა ის არის, რომ სწრაფად გავაანალიზოთ დადგენილი ხუთწლედის წლების მიხედვით, უზრუნველყოთ გეგმის ყველა მაჩვენებლის შეწონასწორება და შეთანხმება. ამავე დროს მთელი რიგი სამინისტროები და მოკავშირე რესპუბლიკები თავიანთ საპროექტო მონასახლეებში ამცირებენ საგეგმო დავალებებს ხუთწლედის პირველი წლებისათვის და მატების არარეალურ სწრაფ ტემპებს ითვალისწინებენ ხუთწლედის უკანასკნელი წლებისათვის. ასეთი მიდგომა, ბუნებრივია, აძნელებს სახალხო მეურნეობაში პროპორციულობის უზრუნველყოფას და შეიძლება გამოიწვიოს სიძნელენი ცალკეული დარგების გეგმების შესრულებაში.

ხუთწლიან გეგმაზე შემდგომი მუშაობის დროს სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკებმა უნდა უზრუნველყონ კაპიტალურ დაბანდებათა უფრო ეფექტიანი გამოყენება. ამ მხრივ მთავარია გავადიდოთ პროდუქციის გამოშვება უწინარეს ყოვლისა მოქმედ საწარმოებში მათი ხელახალი ტექნიკური აღჭურვის გზით. საჭიროა გონივრულ ფარგლებში, მტკიცედ ვიხელმძღვანელოთ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით და შევზღუდოთ ახალი მშენებლობა, ამასთან უფრო მეტი სახალხო-საშეურნეო ეფექტით გადავწყვიტოთ საწარმოთა განლაგების საკითხები.

სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა გამოძიებნონ სამუალებანი, რათა მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შემცირონ სულ ცოტა 3-5 პროცენტით, როგორც ეს გათვალისწინებულია დირექტივების პროექტით. ამასთან ეს უნდა შევასრულოთ მოკლე ვადებში და გავითვალისწინოთ ხუთწლიან გეგმაში.

შემდეგ ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა თქვა, რომ საგეგმო და სამეურნეო ორგანოების წინაშე დიდი მოთხოვნები დგას ამ ყრილობაზე დასახულ სახალხო მეურნეობის განვითარების გრძელვადიანი გეგმის დაგეგმვის ამოცანებთან დაკავშირებით. სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია 10-15 წლისათვის, იქნება არსებითი პირობა ხუთწლიანი გეგმების კიდევ უფრო ღრმა მეცნიერული დასაბუთებისათვის, მთელი სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის დონის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

საგეგმო ორგანოთა მუშაკები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიის XXIV ყრილობის მიერ დასახულ ახალ გრანდიოზულ ამოცანათა გეგმებში განსახიერებისა და მათი წარმატებით გადაწყვეტისათვის, თქვა ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვმა, ძალღონეს არ დაიშურებენ ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

უაზახეთის სსრ სივრცეებზე გრანდიოზულ გარდაქმნათა შესახებ ილაპარაკა უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. აშიმოვმა. რესპუბლიკის ეკონომიკასა და კულტურაში, ხაზგასმით აღნიშნა მან, მერვე ხუთწლედის განმავლობაში მოხდა ღრმა თვისებრივი ძვრები, რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება იმით, რომ ახალ საფეხურზე ავიდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის კეთილდღეობა.

ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა სამრეწველო წარმოება. ამოქმედდა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის დიდი საწარმოები, ახალი ენერგეტიკული სიმძლავრეები. ავითვისეთ ტრაქტორების, ფუნცლოვანი ნაგლინი, ბეტონარეთა დაცვის ქიმიური საშუალებების, გრანულირებული მინერალური სასუქების, პოლიეთილენის მილებისა და ბევრი სხვა პროდუქციის წარმოება.

ახალ ხუთწლედში, თქვა ორატორმა, საბჭოთა აზახეთი წარმოგვიდგება დამკვრელური მშენებლობებისა და თანამედროვე ინდუსტრიის მხარედ, სადაც იქნება ინტენსიური სოფლის მეურნეობა, მეცხოველობა და კულტურა. მნიშვნელოვნად ამაღლდება მშრომელთა ცხოვრების დონე. აშენდება 31 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ბინები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ასობით ობიექტი.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ოცნებობდა სწორედ ასეთი ნასა ჩვენი მდიდარი მხარე, თქვა ამხ. ბ. აშიმოვმა.

შემდეგ ორატორი შეეხო რესპუბლიკის საწარმოო ძალების დაჩქარებულ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. კვლავ განვითარდება შავი, ფერადი მეტალურგიისა და ქიმიური მრეწველობის საწარმოები რესპუბლიკის მთელ რიგ ოლქებში, ამასთან დაკავშირებით საჭიროა ავაშენოთ ახალი ელექტროსადგურები, რომლებიც ჰაერბასტეზის იაფი ქვანახშირით იმუშავებენ.

ახალ ხუთწლედში პასუხსაგები ამოცანები დგას აზახეთის სოფლის მეურნეობის წინაშე. მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება უნდა გავადიდოთ 24 მილიონ ტონამდე, რესპუბლიკაში არის ვრცელი ზუნებრივი საძოვრები, რაც საშუალებას გვაძლევს განვავითაროთ მეცხოველეობის ყველა დარგი. მაგრამ მეცხვარეობის მსხვილი ბაზის შექმნაში რესპუბლიკა მთელ რიგ სიძნელეებს განიცდის. უდაბნო და ნახევარუდაბნო მიწებზე შექმნილი მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობები მიწასათხრელი და საგზაო ტექნიკის მწვავე ნაკლებობას განიცდიან. მათ საჭირდებათ აგრეთვე დიდი გამავლობის ავტომობილები საკვების, საშენი მასალებისა და სხვა ტვირთების გადასაზიდად.

ოპტიმალურ ვადებში რომ დაგამთავროთ თივა, საჭიროა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს გავუფდიდოთ მაღალი წარმადობის მანქანების კომპლექსების, აგრეთვე სასილოსე კულტურების ასაღები კომბაინების მიწოდება.

საბჭოთა აზახეთმა, თქვა დასასრულ ორატორმა, მოკლე ისტორიულ ვადაში დიდ წარმატებებს მიაღწია სოციალურ-ეკონომიურ განვითარებაში. ამ მიღწევებს აზახი ხალხი უნდა უმადლოდეს ლენინურ პარტიას, საბჭოთა წყობილებას, ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხის მეგობრობასა და ძმურ ურთიერთდახმარებას. რესპუბლიკის მშრომელებს თავიანთ უპირველეს პატრიოტულ მოვალეობად მიაჩნიათ პირნათლად შეასრულონ პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი.

ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ავსტრიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ამხ. შარანდ მურმ, რომელსაც დელეგატები ფეხზე დგომით, ოვაციებით ტაშით შეხვდნენ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ყველა ავსტრიელი კომუნისტის სახელით მან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას გადასცა გულითადი ძმური სალამი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მოგვცა ახლანდელი ვითარების რეალისტური ანალიზი და ჩამოაყალიბა თქვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი საქმიანობის კონსტიტუციული პროგრამა, თქვა ორატორმა. ამ პროგრამების დაყენებისათვის დამახასიათებელია, რომ ყურადღების ცენტრში დგას ადამიანის ბედნიერება და კეთილდღეობა, მისი პიროვნების ყოველმხრივ განვითარება. დარწმუნებული ვართ, რომ დიადი მიზნების განხორციელებას, რომელსაც პარტიის XXIV ყრილობა სახავს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საბჭოთა კავშირისათვის, არამედ საერთაშორისო მუშათა და განმათავისუფლებელი მოძრაობისთვისაც.

ავსტრიის კომუნისტური პარტია, განაგრძო ამხ. ფ. მურმ, მსარს უჭერს აქტიური სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას, ქვეყნის ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. ჩვენი პარტიის აზრით, იმპერიალიზმისა და დასავლეთ გერმანიის რევანშიზმის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლის გზით შეიძლება დადებითად გადაიჭრას ევროპის უმშიშროების პრობლემები, რაც განუყრელად დაკავშირებულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ევროპის ახლანდელი საზღვრების სრულ და ყოვლმხრივ ცნობასთან.

გმირი ვიეტნამელი ხალხის, ინდოჩინეთის ხალხების წარმატებებმა ამერიკელი აგრესორებისა და მათი სამხრეთვიეტნამელი მარიონეტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებმაც ახალი დიდი სამხედრო, პოლიტიკური და მორალური დამარცხება იგემეს, ფართო გამოხმაურება ჰპოვა ავსტრიაშიც. ჩვენ, თქვა ორატორმა, მთლიანად და სავსებით გუეჭირთ მხარს ვიეტნამელი ხალხის, ინდოჩინეთის ყველა ხალხის სამართლიან ბრძოლას.

ავსტრიის კომუნისტური პარტია ებრძვის იმისათვის, რომ მივაღწიოთ და კიდევ უფრო განვამტკიცოთ მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა კომუნისტური და მუშათა პარტიების 1969 წლის ივნისის საერთაშორისო თათბირზე მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ამ თათბირის შედეგებს და მიგვაჩნია, რომ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა იქ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორე. დასასრულ ამხ. ფრანც მურმ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიას, ყველა საბჭოთა მშრომელს უსურვა ახალი დიდი წარმატებანი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

გულთბილად შეხვდნენ ერაყის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. აზიზ მუჰამედს. ერაყელ კომუნისტთა სახელით მან ყრილობის დელეგატებს და მათი სახით ყველა საბჭოთა კომუნისტს, მთელ საბჭოთა ხალხს გადასცა მეზნებარე სალამი.

ჩვენს პარტიას, რომელიც 37 წლის წინათ შეიქმნა, თქვა ამხ. აზიზ მუჰამედმა სახელოვანი ოქტომბრის რევოლუციის ქვეყნისთან, დიდი ლენინის პარტიასთან ურყევი სოლიდარობა ყოველთვის მიაჩნდა ნამდვილი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის განსახიერებად.

ერაყელი კომუნისტები თვლიან, რომ წარმატებანი და გამარჯვებანი, რომელებსაც საბჭოთა ხალხმა მიაღწია და აღწევს თავისი სახელოვანი პარტიის ხელმძღვანელობით, მთელი პროგრესული კაცობრობის გამარჯვებები და წარმატებებია, და მაშასადამე, თავისი ხალხის, თავისი ეროვნული და რევოლუციური მოძრაობის გამარჯვებები და წარმატებებიც არის. ჩვენ ვვინდა, განაცხადა მან, გისურვოთ სულ ახალი და ახალი გამარჯვებანი და ღრმად გვწამს, რომ სამართლიანია ის საქმე, რომლისთვისაც ერთად ვიბრძვით.

მაღლობას ვუძღვნით სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და ძვირფას ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს გულითადობისა და გულთბილობისათვის, რომლითაც ილაპარაკა მან მოძმე პარტიებზე, იმ უდიდესი მუშაობის მაღალი შეფასებისათვის, რომელსაც ეწევიან თავიანთი ქვეყნებში ბრძოლაში დაღუპულ სახელოვან გმირთა მოგონებისათვის. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ეს მშვენიერი სიტყვები ჩვენთვის ალი მეტი მხარდაჭერა იქნება საფრთხითა და მსხვერპლით აღსავსე ბრძოლაში.

შემდეგ ორატორი შეეხო ამოცანებს, რომლებიც ერაყელი კომუნისტების წინაშე დგას ეროვნულ-დემოკრატიულ რევოლუციასთან დაკავშირებით. ერაყის კომუნისტური პარტია, განაცხადა მან, დაუჭახრომლად განაგრძობს ბრძოლას ერაყელი ხალხის დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებისათვის.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხ. აზიზ მუჰამედმა გამარჯვება უსურვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, ერაყისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობას.

ტრინიდადელი ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ხორხე კოლე, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ. ბოლივიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი გულითადად მიესალმა სკკპ XXIV ყრილობის დელეგატებს, ლენინის პარტიის წევრებს, მთელ საბჭოთა ხალხს და უსურვა ახალი დიდი წარმატებანი სახელოვან, თავდადებულ შრომაში.

ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელებსაც აქ განვიხილავთ, თქვა ორატორმა, თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი პარტიის ყრილობის ფარგლებს. ისინი აღელვებენ მთელი მსოფლიოს რევოლუციონერებს. აქ გამოძღვნული პრინციპული დებულებანი განამტკიცებენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობას. მარქსიზმ-ლენინიზმის სულისკვეთებით შემუშავებული და პროლეტარული ჰუმანიზმით გამსჭვალული ეს დებულებანი ყველა ხალხის რევოლუციური კუთვნილება გახდება.

მიუხედავად ამისა, განაგრძო ამხ. ხორხე კოლემ, ზოგი ვინმე მაღლა სწევს ანტისოვიეტიზმის ალამს. ეს კვლავ ვლინდება ჩინეთის ხელმძღვანელთა პოლიტიკაში. ამასთან დაკავშირებით ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ დაგიდასტურო ჩვენი დიდი რწმენა, რომ ყოველმხრივი რევოლუციური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის შემოქმედებითს ღონისძიებებს, ჩვენი აბსოლუტური რწმენა, რომ საბჭოთა საზოგადოების განუწყვეტელი წარმატებითი განვითარება განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ყველა ხალხის გამარჯვების საქმეში. ამიტომ არის, რომ ჩვენ უყოყმანოდ უარყოფთ ყოველგვარი ფორმის ანტისოვიეტიზმს.

ყრილობის მიერ დასახული მიზნების მიღწევა, ხაზი გაუსვა ორატორმა, დიდად შეეწყობს ხელს საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ფაშალს ამერიკაში. უკვე ახლა რევოლუციური ალმაფლობაა მთელ ლათინური ამერიკის კონტინენტზე.

ბოლივიაში, თქვა ამხ. ხორხე კოლემ, ხალხთა ბრძოლა მიმდინარეობს მწვავე პოლიტიკურ შეტაკებათა ნიშნით, ფართო სახალხო ერთიანობაზე ორიენტაცია მუშათა კლასისა და რევოლუციური პოლიტიკური ძალების ჰეგემონის პირობებში — აი რა განსაზღვრავს ბოლივიის კომუნისტური პარტიის პოლიტიკას სახალხო ანტიიმპერიალისტური მთავრობის შექმნისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას გულითადად მიესალმა ისრაელის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მმირ ვილნერი, რომელსაც დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ. მსოფლიო სოციალისტური სისტემა, რომლის მთავარი ძალა საბჭოთა კავშირია, თქვა ორატორმა, უდიდეს დამარცხებას უზავს თანამედროვეობის ყველა პროგრესულ მოძრაობას. ამიტომ იმპერიალიზმმა ანტისოვიეტიზმი გადაქცია სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ იარაღად.

ჩვენი პარტია, თქვა ორატორმა, გადაჭრით იბრძვის ანტისოვეტიზმის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირი უდამ ეხმარებოდა და ახლაც ეხმარება ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ყველა ხალხს. ჩვენ ვიცით, რომ ახლო აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისათვის მებრძოლი საბჭოთა კავშირი როგორც არაბი ხალხების, ისე ისრაელი ხალხის ერთგული მეგობარია. საბჭოთა კავშირი იბრძოდა და ახლაც იბრძვის რასიზმისა და ოვინიზმის ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ, აგრეთვე სიონიზმისა და ანტისემიტიზმის წინააღმდეგ.

ამერიკის იმპერიალიზმის პოლიტიკა, განაცხადა ამხ. მ. ვილნერმა, — მთავარი დაბრკოლებაა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების გზაზე. ამერიკის მხარდაჭერა რომ არა, ისრაელის მმართველნი ასე ჯიუტად ვერ განახორციელებდნენ დამპყრობლურ პოლიტიკას.

ჩვენი პარტია იმთავითვე გადაჭრით იბრძვის ომისა და ოკუპაციის წინააღმდეგ, ამით ვასრულებთ როგორც ებრეს ინტერნაციონალურ, ისე პატრიოტულ მოვალეობას. ისრაელის მმართველთა ანტიეროვნული პოლიტიკისაგან განსხვავებით, ჩვენი პარტიის პოლიტიკა ასეთია: არა იმპერიალიზმთან ერთად არაბი ხალხების წინააღმდეგ, არამედ არაბ ხალხებთან ერთად იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს გეში შეეხებამება ისრაელის ხალხის საარსებო ინტერესებს.

ჩვენი პარტია, რომელიც მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ხელმძღვანელობს, თქვა დასასრულ ამხ. მ. ვილნერმა, აერთიანებს უგრაელ ებრაელ და არაბ მშრომელებს. ისრაელისა და არაბული ქვეყნების ხალხებს, ისევე როგორც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ებრძოლად მებრძოლ ვიეტნამელ, ლაოსელ და კამბოჯელ ხალხებს, საერთო მტერი ყავთ. ჩვენი ბრძოლა იმპერიალიზმისა და ომის წინააღმდეგ ხალხთა საერთო ბრძოლის ნაწილია.

სიტყვა ეძლევა კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტიის გენერალურ მდივანს ამხ. ფიდელას კატაპანანს, რომელსაც დელეგატები გულთბილად შეხვდნენ. გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, განაცხადა მან, რომ ამ დღეებში მთელი მსოფლიოს თვალი მიპყრობილია მოსკოვისადმი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისადმი. თქვენი ყრილობა — ეს არის სოციალიზმის მოწინავე ქვეყნის პარტიის ყრილობა, რომელიც ყველაზე სრულყოფილ საზოგადოებას — კომუნიზმს აშენებს.

(დასასრული მე-4 გვ.).

ყრილობის დარბაზიდან

მოსკოვი. სკკპ XXIV ყრილობა. სურათზე: სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ა. გ. ნიკოლაევი ყრილობის დელეგატებთან.

ფოტო ვ. ბუდანისა (საგდესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაწარმოოთ მეცხოველეობის მეჯი პროდუქტები!

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ამ დღე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობა

(დასასრული).

კვიპროსელი ხალხი, თქვა ორატორმა, განაგრძობს შეუპოვარ ბრძოლას იმპერიალიზმისა და მისი დამჭაშების წინააღმდეგ, ყოველგვარი იმპერიალისტური დამოკიდებულებისაგან თავისი განთავისუფლებისათვის.

კვიპროსელთა ბრძოლა გადახლართულია არაბი ხალხების, ინდოჩინეთის ხალხებისა და ყველა სხვა ხალხის ბრძოლასთან, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის. იგი გადახლართულია აგრეთვე დემოკრატიის აღდგენისათვის საბერძნეთის ხალხის ბრძოლასთან, მშვიდობისა და უშიშროებისათვის ევროპის ხალხთა ბრძოლასთან.

ჩვენ ვიცით, თქვა დასასრულ ამბ. ეზეკიას პაპაიოანუმ, თუ რა უდიდეს დამმარებას უწევს საბჭოთა კავშირი მებრძოლ ხალხებს, და მხურვალე მადლობას გიძღვნით ამისათვის. სულითა და გულით გისურვებთ ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ტიტანურ ბრძოლაში, რომელსაც კომუნიზმის აშენებისათვის ეწევით.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამბ. კრსტას კოლიანნსს, რომელიც ყრილობას მიესალმა.

ბერძენი კომუნისტები, თქვა მან, ჩვენი ქვეყნის ყველა პროგრესული ადამიანი მიესალმებიან საბჭოთა ხალხის იმ შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ეკონომიური, საზოგადოებრივი და კულტურული საქმიანობის ყველა დარგში. ამ წარმატებებს მოაყვა არა მარტო საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება და საბჭოთა კავშირის განმტკიცება, არამედ ამ წარმატებათა შედეგად გაძლიერდა მთელი სოციალისტური ბანაკი, განმტკიცდნენ მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალები.

ჩვენ მივესალმებით, განაცხადა ორატორმა, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, უანგარო დახმარებას, რომელსაც ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი უწევს ინდოჩინეთის, არაბული ქვეყნების ხალხებს და იმპერიალისტების დამპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ მებრძოლ ყველა ხალხს. საბერძნეთის კომუნისტური პარტია, განაცხადა ამბ. კ. კოლიანნისმა, დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიდ წვლილს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის საქმეში.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ილაპარაკა საბერძნეთში შექმნილ ვითარებაზე. ხუნტის რეჟიმის პირობებში ადგილობრივი და უცხოთის მონოპოლიები იტაცებენ ეროვნულ სიმდიდრეს, სასტიკ ექსპლოატაციას უწევენ მშრომელებს. ხუნტის დახმარებით იმპერიალისტებმა ქვეყანა აქციეს ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს სამხედრო პლაცდარმად.

ჩვენი პარტია, თქვა ორატორმა, ამხილებს შავ პოლკოვნიკთა ხელისუფლებას. ბერძენი ხალხი კვლავ ქედმოუხრელია, ფართოდდება მისი ანტიდიქტატორული გამოსვლები, მტკიცდება საბრძოლო ერთიანობის სულისკვეთება, ძლიერდება ანტიიმპერიალისტური, ანტიამერიკული განწყობლეობანი.

თავის ძნელ ბრძოლაში ჩვენი პარტია და ხალხი, განაცხადა დასასრულ ამბ. კ. კოლიანისმა, გრძნობენ პროგრესული კაცობრიობის, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მხურვალე საერთაშორისო მხარდაჭერას.

სხდომის თავმჯდომარემ ამბ. ჰ. მ. მაშროოგმა გამოაცხადა, რომ არის წინადადება აირჩიონ კომისია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტის შესწორებებისა და დამატებების განსახილველად.

დელეგატები ერთხმად ირჩევენ კომისიას ამბ. ა. ნ. კოსიგინის თავმჯდომარეობით, რომლის შემადგენლობაშია 115 კაცი.

საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

8 აპრილს ყრილობა მუშაობას განაგრძობდა. (საკდესი).

8 აპრილის სხდომა

ხკპკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებასა და მოხსენებაში — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — აისახა ჩვენი სამშობლოს განვითარების დიდებული პროგრამა.

მთელი ხალხი მხურვალედ გამოეხმაურა პარტიის ზრუნვას საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის, საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური და სულიერი დონის ამაღლებისათვის.

ყრილობის ტრიბუნიდან დელეგატები ანალიზს უკეთებენ ხუთწლეულის ეკონომიკურ, აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ, რომ ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ საქმიანობას. უახლოესი ხუთწლეულისათვის პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელება იქნება ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილი კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

8 აპრილს დილის 11 საათზე გაიხსნა სკკპ XXIV ყრილობის მორიგი სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობს ამბ. შ. რ. რაშიდოვი.

ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამბ. ლუის კარლოს პრესტესს. ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ყველა წევრის სახელით იგი მხურვალედ მიესალმა ყრილობის დელეგატებს. თქვენი ყრილობა, თქვა ორატორმა, მიგვანიშნა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად. ყრილობა მოწმობს საბჭოთა ხალხებისა და მათი სახელოვანი პარტიის ერთიანობას, რომელიც მოპოვებულია შრომითა და ბრძოლით, საბჭოთა ქვეყნის — იმპერიალიზმის წინააღმდეგ ყველა მებრძოლის ბურჯის მზარდ ძალას.

ბრაზილიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ამბ. ლუის კარლოს პრესტესმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს ქმედითი მხარდაჭერისათვის, რომელიც მუდამ შთააგონებდა ბრაზილიელ კომუნისტებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ხაზგასმით აღნიშნა არაბული ხალხების, ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს მზარდ ძლიერებას, ადასტურებს, რომ სწორია მისი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი. მოხსენება მოწმობს, რომ ურყევია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსი — ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ყველას ვინც ილაშქრებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ და ებრძვის მას, ყველას, ვინც წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტურ აგრესიას, ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ბრაზილიის კომუნისტურ პარტიას, რომელიც ამაყობს სოციალიზმის უკომპრომისო დაცვის ტრადიციით, ყოველთვის მიაჩნდა, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წარმატებანი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გადავჭრათ ჩვენი ეპოქის ძირითადი პრობლემა—მივაღწიოთ იმას, რომ კლასობრივი ბრძოლა მსოფლიო მასშტაბით დამთავრდეს სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებით, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის ლიკვიდაციით.

ამბ. ლუის კარლოს პრესტესმა ყრილობის დელეგატებს უამბო საშხედრო რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ ბრაზილიის კომპარტიის ბრძოლის შესახებ.

ამ ყრილობაზე, თქვა მან, ჯეროვნად დაგაფასეთ ის სიმტკიცე და სიმშვიდე, რომლითაც თქვენ იმეშვიდეთ თქვენი პოლიტიკის ხელმძღვანელ საწყისებს. დიდად გაფასებთ თქვენს მდიდარ გამოცდილებას და მას გაგუზიარებთ ჩვენს პარტიას.

შემდეგ ყრილობას მიესალმა სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამბ. ჯონ �, რომელსაც შეუხვარ ტაშით შეხვდნენ. საბჭოთა ხალხის ეკონომიური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებას, თქვა ორატორმა უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, მთელ მსოფლიოს უჩვენებს გეგმიანი სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობას. საბჭოთა კავშირში ტექნიკური და მეცნიერული პროგრესის ტემპის დაჩქარებას, მისი თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლი ძალებისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ტერორისტული რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გამოცდილებით არა მარტო სამხრეთ აფრიკის კომუნისტები, არამედ ხალხის ფართო მასებიც დარწმუნდნენ, რომ ერთნაირი მიზნები აქვთ მათ და მსოფლიოს ყველა მშრომელს, რომელთა ავანგარდია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ჩვენი ბრძოლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ფასდაუდებელ ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც გვიწევენ და ახლაც გვიწევენ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები.

ჩვენი ქვეყნის ხალხის ბრძოლა გაბუყრელად არის დაკავშირებული სოციალისტური ქვეყნების გაძლიერებასთან, ერთიანი ანტიიმპერიალისტურ ძალებთან ერთიანობის დამყარებასთან. ჩვენი ვიეტნამელი დეგისა და ძმების სახელოვანი გამარჯვებანი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ანტიიმპერიალისტურ მოძრაობათა წარმატებანი — ეს არის აგრეთვე ჩვენი გამარჯვებანი, წვლილი სამხრეთ აფრიკის დემოკრატიული რევოლუციის გარდუვალი გამარჯვების საქმეში.

ჩვენ მხურვალედ მივესალმეთ მოსკოვში 1969 წელს გამართულ კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირს, ვმონაწილეობდით მის შუამავლობაში. ჩვენ ვიბრძვით მისი გადაწყვეტილებების, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობის შესახებ დოკუმენტის განხორციელებისათვის.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ყრილობა გახდება ახალი ნიშნისგებელი მარქსისა და ლენინის მიერ დასახული დიადი მიზნებისაკენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინსვლის ძლევამოსილ გზაზე, ახალი ნიშანსვეტი მშვიდობისა და თავისუფლებისათვის, სოციალისტური და კომუნისტური მომავლისათვის მთელი კაცობრიობის ბრძოლაში.

განაგრძო რა განხილვა მოხსენებისა — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრმა ამბ. კ. ნ. რუდნევმა. ხელსაწყოთმშენებლები, თქვა მან, საუსტანი უჭერენ მხარს და მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საქმიანობას. ორატორმა აღნიშნა, რომ ჩვენი ეკონომიკის განვითარების მაღალი შედეგების მიღწევაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის, 1965 წლის სექტემბრის პლენუმებმა და სკკპ XXIII ყრილობამ, რომლებმაც შეიმუშავეს საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკის ხელმძღვანელობის მეცნიერული ორნინციპები, ახლებურად დააყენეს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მართვის საკითხები.

ეკონომიურმა რეფორმამ მრეწველობაში, სამეურნეო ანგარიშის განვითარებამ და გაღრმავებამ სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში, რაც ხორციელდება დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის ბაზაზე წარმოების დარგობრივი მართვის პირობებში, დადებითი შედეგები მოგვცა. ამბ. კ. ნ. რუდნევმა აღნიშნა, რომ წარმოების მოცულობა სამინისტროს საწარმოებში ხუთწლეულის მანძილზე გაიზარდა 2,3-ჯერ, შრომის ნაყოფიერება — 76 პროცენტით. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოშვება გადიდდა 4,8-ჯერ. დარღის ტექნიკურ პროგრესს აჩქარებენ ხელსაწყოებისა და ავტომატიზაციის საშუალებათა ნომენკლატურის გაფართოება 1,8-ჯერ, რასაც თან სდევს მისი საერთო განახლება 60 პროცენტით.

ახალი სისტემით მუშაობაზე საწარმოთა გადასვლის კვალობაზე უმჯობესდება დარგის დაგეგმვა და მართვა. 1970 წლიდან სამინისტრო გადავიდა მართვის ყველაზე პროგრესულ სტრუქტურაზე, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება წარმოების ეფექტიანობის გადიდების მოთხოვნებს: სამინისტრო — სამეურნეო ანგარიშის სრულიად საკავშირო სახელმწიფო სამრეწველო გაერთიანება — საწარმო.

ასეთი სტრუქტურა, თქვა ორატორმა, უზრუნველყოფს მართვის საშუალო რგოლის უმეტეს დამოუკიდებლობას და საშუალებას აძლევს სამინისტროს მთელი ყურადღება დაუთმოს დარგის პერსპექტიული განვითარების, კადრების შერჩევისა და განაწილების, შინაგანი რეზერვების გამოვლინების გზით მუშაობის ეფექტიანობის გადიდების საკითხებს. მთელი დარგი გადაყვანილია სრულ თვითანაზღაურებაზე.

მინისტრი შეეხო ამოცანებს, რომლებიც ხელსაწყოთმშენებლებმა უნდა გადაჭრან ახალ ხუთწლედში, კერძოდ, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის გადიდებაზე უფრო აქტიური ზემოქმედების ტექნოლოგიური პროცესების, წარმოებების, საწარმოების, და მთელი დარგების მართვის ავტომატიზებული სისტემების საშუალებით.

1971–1975 წლების პერიოდში დასახულია საექსპლოატაციოდ გადაცემა სულ ცოტა 1600 ავტომატიზებული სისტემა წარმოებისა და მომსახურების სხვადასხვა სფეროში. გარდა ამისა, ამუშავდება ტექნოლოგიური პროცესების მართვის ავტომატიზაციის ათასამდე სისტემა. სისტემების მნიშვნელოვანი ნაწილი შემუშავდება და დაინერგება სამინისტროს ორგანიზაციებისა და საწარმოების ძალებით. ეს მუშაობა უნდა განხორციელდეს კომპლექსურად — პროექტიდან მოქმედი სისტემის გადაცემამდე და ექსპლოატაციის პროცესში მისთვის თვალყურის დევნებამდე.

ამბ. კ. ნ. რუდნევი შეეხო მართვის ავტომატიზებული სისტემების გამოყენების, მათი წარმოების გაუმჯობესების საკითხებს. მან აღნიშნა, რომ ახალ ხუთწლედს ხელსაწყოთმშენებლებისათვის ახასიათებს მიკროელექტრონულ ბაზაზე გადასვლა არა მარტო გამოთვლითი ტექნიკის შექმნის დარგში, არამედ აგრეთვე ელექტროხელსაწყოთმშენებლობაში, ავტომატიზაციის საშუალებებისა საგეგნირო-საკვლევი ხელსაწყოების წარმოებაში. ამასთან ზნიმშენელოვნად გაფართოვდება ხელსაწყოების ფუნქციური შესაძლებლობანი, გაუმჯობესდება მათი ხარისხი და საიმედოობა.

ტექნიკური პროგრესი ხელსაწყოთმშენებლობაში მიმდინარე ხუთწლედში კიდევ უფრო დაჩქარდება. ხელსაწყოთა ნომენკლატურა გაიზრდება ერთნაირვარჯერ, ხოლო პროდუქციის განახლება მიაღწევს დაახლოებით 70 პროცენტს.

თავმჯდომარე ამბ. შ. რ. რაშიდოვი აცხადებს, რომ შემოვიდა წინადადება შეუჭდეს კამათი მოხსენების გამო — სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971–1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება კამათის შეწყვეტის შესახებ.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამბ. ა. ნ. კოსიგინმა, რომელსაც ყრილობის დელეგატები და სტუმრები გულთბილად შეხვდნენ.

ამბ. შ. რ. რაშიდოვმა თქვა, რომ შემოსულია წინადადება მიღებულ იქნას სკკპ XXIV ყრილობის მიმართვა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“ და სკკპ XXIV ყრილობის განცხადება „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის“. ამ წინადადებას დელეგატები ტაშით შეხვდნენ.

ამბ. კ. თ. კატუშევმა წაიკითხა ტექსტი სკკპ XXIV ყრილობის მიმართვისა „თავისუფლება და მშვიდობა ინდოჩინეთის ხალხებს!“

მიმართვას ერთხმად იღებენ.

სიტყვა ეძლევა ამბ. ბ. ნ. პონომარიოვს. მან წაიკითხა ტექსტი სკკპ XXIV ყრილობის განცხადებისა „ახლო აღმოსავლეთში სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისათვის“.

დელეგატები ერთხმად იღებენ განცხადებას.

შემდეგ ყრილობა გადავიდა დღის წესრიგის მომდევნო პუნქტზე — პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებზე.

9 აპრილს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საკდესი).

ყრილობის დარბაზიდან

მოსკოვი: სკკპ XXIV ყრილობა. სურათზე: დელეგატები ორენბურგის საოლქო პარტიული ორგანიზაციისაგან ოქტიაბრსკოეს რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი ა. ა. ბუჩნევა და ამერშუთის კომბინატის ფეიქარი რ. მახნევა ესაუბრებიან სოციალისტური შრომის გმირს, ლენინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო მხატვარს ე. ვ. ვუჩეტიჩს.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

საბჭოთა მთვარემავლის მეექვსე დილა

ორეული კოსმოსური კავშირი „ვერნერ ფონ ბრაუნი“ ცენტრი 8 აპრილი (საკდესი). დამოუკიდებელ ავტომატურ საბჭოთა ავტომატური „ლუნა-ხოდ-1“ აპარატის მეხუთე მთვარის ღამე. მზე კვლავ ამოდის წვიმების ზღვის ჰორიზონტზე. თვითმავალი აპარატი შეუდგა მეექვსე მთვარის დღისათვის შემუშავებული პროგრამის შესრულებას.

გუშინ მთვარემავალთან მოეწყო კავშირის ორი სეანსი. პირველი სეანსის დროს გაიხსნა მზის ბატარეა, შემოწმდა საბორტო სისტემები და ჩაირთო სამეცნიერო აპარატურა. შემდეგი სეანსის დროს, რომელიც დაიწყო 19 საათზე მოსკოვის დროით და ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მთვარემავალმა განაახლა მოძრაობა. წინა მთვარის დღეს მიღებულმა ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიზანშეწონილია ხუთასამდე და ორასამდე მეტრი დიამეტრების მქონე ორი კრატერის სისტემის კვლევის განგრძობა. სეანსის დროს მთვარემავალმა ჩაიარა კრატერთან კრატერში მის სამხრეთ ოერღობზე, აპრილი (საკდესი). დამოუკიდებელ ავტომატურ საბჭოთა ავტომატური „ლუნა-ხოდ-1“ აპარატის მეხუთე მთვარის ღამე. მზე კვლავ ამოდის წვიმების ზღვის ჰორიზონტზე. თვითმავალი აპარატი შეუდგა მეექვსე მთვარის დღისათვის შემუშავებული პროგრამის შესრულებას.

გუშინ მთვარემავალთან მოეწყო კავშირის ორი სეანსი. პირველი სეანსის დროს გაიხსნა მზის ბატარეა, შემოწმდა საბორტო სისტემები და ჩაირთო სამეცნიერო აპარატურა. შემდეგი სეანსის დროს, რომელიც დაიწყო 19 საათზე მოსკოვის დროით და ოთხ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, მთვარემავალმა განაახლა მოძრაობა. წინა მთვარის დღეს მიღებულმა ინფორმაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მიზანშეწონილია ხუთასამდე და ორასამდე მეტრი დიამეტრების მქონე ორი კრატერის სისტემის კვლევის განგრძობა. სეანსის დროს მთვარემავალმა

კანდიდატთა დასახელება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება კანდიდატთა დასახელება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში.

თბილისის საინსტრუმენტო ქარხნის ხარატი **ვ. ი. გადოვნიკოვი** ამ საწარმოს მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 50 კოლეგიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ამავე ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „სოფელგზრგოპროექტის“ საქართველოს განყოფილების კოლექტივმა დაასახელა ინსტიტუტის დირექტორი **ი. ს. ნადირაძე.**

საქართველოს კომბინატის სოხუმის საქალაქო ორგანიზაციისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ სოხუმის № 332 ენერგეტიკული საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანი **ი. ი. კეცბა.**

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის სოხუმის რაიონული ორგანიზაციისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების სოხუმის რაიონის № 175 ქალაქო საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია ქალაქ სიღნაღის საშუალო სკოლის მასწავლებელი **ე. ნ. ჭალაბაშვილი.**

ვაქირის ღვინის ქარხნის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ თბილისის № 50 კოლეგიის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელებულია ამ საწარმოს მოწინავე მეშა **ნ. ი. გოზალიშვილი.**

სახალხო კონტროლის ამბროლაურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. კ. დავითულიანი** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ამბროლაურის რაიონის № 251 ამბროლაურის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში საქართველოს კომპარტიის ამბროლაურის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოფელ ჭრებალოს კოლმეურნეობის კომკავშირელებმა გადაწყვიტეს თავიანთ წარმომადგენლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ამბროლაურის რაიონის № 252 ჭრებალოს საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში გაგზავნონ მოწინავე კოლმეურნე **ლ. ა. ფრუიძე.**

„სამტრესტის“ ცხაკაიას ქარხნის სამმართველოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცხაკაიას რაიონის № 293 ლენინის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში დასახელონ ამ ქარხნის სამმართველოს სპირტის სახდელი საამქროს მეაპარატე **დ. ა. გოგოლი.**

ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს კომუნისტებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ზუგდიდის № 301 ოქტომბრის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში თავიანთ კანდიდატად დასახელეს ენგურჰესის მშენებლობის მმართველის მოადგილე **ტ. პ. წულეისკირი.**

ენგურის ცალფლოზა-ქაღალდის კომბინატის უფროსი ინჟინერ-ეკონომისტი **ე. ა. ჭანკფორია** საწარმოს პირველადმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ დასახელა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ქალაქ ზუგდიდის № 303 კიროვის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში.

ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის კოლმეურნეთა საერთო კრებამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ასპინძის რაიონის № 117 ასპინძის საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიაში გაგზავნოს ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. გ. მელიქიძე.** (საქდესი).

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ საპატიო ნოტებების მინიჭების შესახებ

სახალხო განმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა:

221. სამთელაძეს ნინო ალექსანდრეს ასულს — თბილისის № 13 პოლიკლინიკის მთავარი ექიმის მოადგილეს.

222. სამსონიას კონდრატე პატუნის-ძეს — აფხაზეთის ასსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის ექიმს.

223. სანბურს ვლადიმერ ვასილის-ძეს — ლენინგორის რაიონული საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.

224. საღირაშვილს ალექსანდრე ნიკოლოზის-ძეს — ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამედიცინო პუნქტის უფროსს.

225. საყვარელიძეს ვერა მერაბის ასულს — თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაერთიანებული კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

226. სეფაშვილს ნასყიდა ილიას-ძე — ყვარლის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.

227. სვანიძეს იოსებ ერმილეს-ძე — ცაგერის რაიონული პოლიკლინიკის ექიმს.

228. სიხარულიძეს ვერიკო ვიქტორის ასულს — საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

229. სოკოლს ლიდა ვლადიმერის ასულს —საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს პიდიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექიმს.

230. სოლოლაშვილს რობერტ ივანეს-ძეს — საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

231. სულხანიშვილს მარიამ მიხეილის ასულს — საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამკურნალო ფიზიკულტურის ხელმძღვანელს.

232. სულხანიშვილს ივანე იოსების-ძეს — ლაგოდეხის რაიონული საავადმყოფოს ექიმს.

233. სუმბათაშვილს მარიამ სერგის ასულს — პენსიონერს.

234. სურისს ტატიანა მარკის ასულს —საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული სტატისტიკის ბიუროს ექიმს.

235. ტატიშვილს ალექსანდრა ივანეს ასულს — თბილისის № 4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის ექიმს.

236. ტკაჩევას ანა ივანეს ასულს — ამერიკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამთუმის სამხედრო ჰოსპიტლის ექიმს.

237. ტორონჯაძეს ანა ათანასეს ასულს — პენსიონერს.

238. ტყემალაძეს მათიკო აპოლონის ასულს — თბილისის № 17 პოლიკლინიკის ექიმს.

239. უბილავას თეოფანე მალაქიას-ძეს — პენსიონერს.

240. ურუშაძეს გრიგოლ ალექსის-ძეს — საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეს.

241. ურუშაძეს ლილი მირიანის ასულს — თბილისის № 4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის განყოფილების გამგეს.

242. ფავლენიშვილს თინათინ ირაკლის ასულს — გორის ბავშვთა რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.

243. ფანცხავას ვლადიმერ ოსების-ძეს — რუსთავის კანისა და ვენერიულ სნეულებათა დისპანსერის მთავარ ექიმს.

244. ფანცულაიას უჩა შალვას-ძეს — საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს ტუბერკულოზის სანატორიუმის „ლიბანინის“ მთავარ ექიმს.

245. ფანცულაიას დალი დავითის ასულს — ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის ასისტენტს.

246. ფარცხალაძეს შალვა ნესტორის-ძეს — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს უბნის ექიმს.

247. ფიოლიას აკაკი ანტონის-ძეს — წულუკიძის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.

248. ფირცხალაშვილს ქეთევან გიორგის ასულს — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის უფროს ლაბორანტს.

249. ფირცხალაიშვილს ეკატერინე მოსეს ასულს — გარდაბნის რაიონის სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის ექიმს.

250. ფიფიას მამია ბარუქის-ძეს —ზუგდიდის რაიონის მთავარი ექიმის მოადგილეს.

251. ფოფხაძეს მარიამ ზოსიმეს ასულს— სსრ კავშირის განმრთელობის დაცვის სამინისტროს ვაქცინებისა და შრატების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

252. ფუტკარაძეს მიხეილ ნესტორის-ძეს — პენსიონერს.

253. ფხაკაძეს ვლადიმერ ოსების-ძეს — გაგრის პანსიონატ „ფოეკეარას“ პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარ ექიმს.

254. ქადაგიძეს კონსტანტინე ილიას-ძეს — საქართველოს სსრ განმრთელობის დაცვის სამინისტროს კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

255. ქათამაძეს ქეთევან ილიას ასულს —ზესტაფონის რაიონული ცენტრალური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილეს.

256. ქართველიშვილს გიორგი ერმილეს-ძეს — თერჯოლის რაიონის კურორტ „სიმონეთის“ დირექტორს.

257. ქვარცხავას ალექსანდრა კონსტანტინეს ასულს — თბილისის № 13 პოლიკლინიკის ექიმს.

258. ქველიაშვილს მიხეილ ილარიონის-ძეს — თერჯოლის რაიონული საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმს-სტომატოლოგს.

259. ქილიფთარს ქეთევან მიხეილის ასულს — ბათუმის №1 საქალაქო საავადმყოფოს ექიმს.

260. ჭიჭავას როსტომ სულეიმანის-ძ